თქვენგან ვისაც შეუძლია ოჯახის რჩენა, დაე დაქორწინდეს, რადგან ჭეშმარიტად, ეს ეხმარება თვალების დაბლა დაშვებაში (აკრძალულისგან თავის არიდებაში) და სქესობრივი ორგანოების დაცვაში აკრძალულისგან. ხოლო ვისაც ამის შესაძლებლობა არ აქვს, დაე იმარხულოს, რადგან ჭეშმარიტად, მარხვა იქნება მისთვის [ცდუნებისგან დაცვის მსგავსად] დაცვა

გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ მასუდისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: ჩვენ ვიყავით ალლაჰის მოციქულთან ერთად (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და მან თქვა: «თქვენგან ვისაც შეუძლია ოჯახის რჩენა, დაე დაქორწინდეს, რადგან ჭეშმარიტად, ეს ეხმარება თვალების დაბლა დაშვებაში (აკრძალულისგან თავის არიდებაში) და სქესობრივი ორგანოების დაცვაში აკრძალულისგან. ხოლო ვისაც ამის შესაძლებლობა არ აქვს, დაე იმარხულოს, რადგან ჭეშმარიტად, მარხვა იქნება მისთვის [ცდუნებისგან დაცვის მსგავსად] დაცვა»

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოუწოდებდა მათ, ვისაც აქვს სქესობრივი ურთიერთობის უნარი და შეუძლია ოჯახის რჩენა, რომ დაქორწინდნენ. ეს ეხმარება თვალების და სქესობრივი ორგანოების დაცვაში აკრძალულისგან და ხელს უშლის ბილწი ქმედებების ჩადენას. ხოლო ვისაც არ შეუძლია ქორწინების ხარჯების დაფარვა, მიუხედავად იმისა, რომ აქვს უნარი სქესობრივი ურთიერთობისა, მას ვალდებულება აქვს იმარხულოს. მარხვა აქრობს სქესობრივ ჟინს და ამცირებს ზიანს, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს სექსუალურმა მოთხოვნილებამ.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5863